

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„გ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

14.12. 2016 წელი

გზ. N1

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი

ფინანსური აუდიტის ანგარიში N 76/36
2015 წლის 1 იანვარი - 2015 წლის 31 დეკემბერი

ს ა რ ო ლ ი

ზოგადი ინფორმაცია	3
დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	4
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა	5
პირობითი მოსაზრების საფუძველები	5
ფინანსური აქტივები - სავალუტო ნაშთი	5
დებიტორული და კრედიტორული ვალდებულებები	6
არაფინანსური აქტივების ზრდა	6
ამორტიზაცია	7
ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების აღრიცხვა	8
წმინდა ღირებულება	8
პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ	9
მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა	9
სამიწვლინებო ანაზღაურება ქვეყნის გარეთ	9
სახელმწიფო შესყიდვები	10
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	12
ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები	13



ზოგადი ინფორმაცია

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი არის თვითმმართველი თემი, რომელსაც „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად მინიჭებული აქვს მუნიციპალიტეტის სტატუსი. მუნიციპალიტეტს გააჩნია არჩევითი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, რეგისტრირებული მოსახლეობა და აქვს საკუთარი ქონება, ბიუჯეტი, შემოსულობები. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირია.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს აქვს საკუთარი უფლებამოსილებები და დელეგირებული უფლებამოსილებები. მუნიციპალიტეტი საკუთარ უფლებამოსილებას ახორციელებს დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით. დელეგირებული უფლებამოსილება არის სახელმწიფო/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოს უფლებამოსილება, რომელიც მუნიციპალიტეტს გადაეცა კანონის საფუძველზე ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, სათანადო მატერიალური და ფინანსური უზრუნველყოფით.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს და უმაღლეს თანამდებობის პირს წარმოადგენს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი. მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგებელი აირჩევა ოთხი წლის ვადით, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეების მიერ, პირდაპირი არჩევნებით, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მოსახლეობის წინაშე.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი შეიმუშავებს და საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და ბიუჯეტში შესატანი ცვლილების პროექტებს და უზრუნველყოფს დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულებას თავისი უფლებამოსილების ფარგლებში. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2015 წლის დამტკიცებულმა (პირველადი) ბიუჯეტმა შეადგინა 16 500 957 ლარი, დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 19 905 198 ლარი, ხოლო გადახდამ (საკასო ხარჯმა) 18 193 813 ლარი.

დასახელება	დაზუსტებული გეგმა	გადახდა (საკასო ხარჯი)	დაზუსტებული გეგმის შესრულება (%)
ხარჯები	10 525 957	9 792 067	0.93
პრომის ანაზღაურება	2 310 770	2 283 262	0.99
საქონელი და მომსახურება	1 000 808	871 733	0.87
სუბსიდიები	3 117 667	3 004 706	0.96



გრანტები	281 245	280 995	1.00
სოციალური უზრუნველყოფა	453 609	438 586	0.97
სხვა ხარჯები	3 361 858	2 912 785	0.87
არაფინანსური აქტივების ზრდა	9 337 189	8 374 155	0.90
ვალდებულებების კლება	42 052	27 591	0.66
სულ დაფინანსება	19 905 198	18 193 813	0.91

ცხრილი N1, ბიუჯეტის შესრულება.

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაატარა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ფინანსური აუდიტი, რომელიც მოიცავს მუნიციპალიტეტის გამგეობისა და მისდამი დაქვემდებარებული დაწესებულებების ბალანსებს, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს. აუდიტი მოიცავს შემდეგ ანგარიშებს: ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ, ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ და ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე განეული ხარჯების შესახებ. აუდიტი ასევე მოიცავს ანგარიშს ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.



აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამომწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას. ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველები

ფინანსური აქტივები - სავალუტო ნაშთი

გარემოება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების, ბალანსის ფორმა N1-ის მიხედვით, ფულადი ნაშთი ბანკში ეროვნულ ვალუტაში, 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შეადგენს 5 273 628 ლარს, 31 დეკემბრის მდგომარეობით 1 907 477 ლარს. აუდიტის პერიოდში 41 098 ლარი შემოსავლების სამსახურის მიერ, საბანკო ანგარიშიდან ჩამოჭრილი იქნა როგორც საშემოსავლო გადასახადი, შესაბამისად, სახაზინო და საბანკო ამონაწერების მიხედვით, ფულადი ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1 866 379 ლარს, 40 097 ლარით ნაკლებს¹.

¹ აუდიტის ობიექტი არ დაეთანხმა შემოსავლების სამსახურის მიერ თანხის ჩამოჭრას საშემოსავლო გადასახადის საკითხზე, რის შედეგადაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ 2016 წლის სექტემბრის თვის მდგომარეობით აღდგენილი იქნა ფულადი ნაშთი მუნიციპალიტეტის მოკორესპოდენტო ანგარიშზე.



გავლენა

ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში, ფულადი ნაშთი და შესაბამისად წმინდა ღირებულება, 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, გაზრდილად არის წარმოდგენილი 41 098 ლარის ოდენობით.

დებიტორული და კრედიტორული ვალდებულებები

გარემოება

მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, დებიტორული დავალიანებები 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 320 553 ლარს, 31 დეკემბრის მდგომარეობით 469 525 ლარს, თუმცა მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგების ბალანსში, საბალანსო ფორმა N1-ში, დებიტორული დავალიანება არ არის აღრიცხული.

აგრეთვე საბალანსო მონაცემებით, კრედიტორული ვალდებულება 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 42 052 ლარს, აღნიშნული თანხა ასევე გათვალისწინებულია ვალდებულებების კლების მუხლში² 31 დეკემბრის მდგომარეობით 14 461 ლარი, თუმცა წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, კრედიტორული დავალიანება 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 88 387 ლარს, ანუ საბალანსო მონაცემებით დაფიქსირებულ ნაშთთან მიმართებით 73 926 ლარით მეტს.

გავლენა

ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში, არ არის აღრიცხული დებიტორული მოთხოვნები, შესაბამისად, 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, დებიტორული ნაშთი შემცირებულია 320 553 ლარით, ხოლო წლის ბოლოს 469 525 ლარით. ასევე შემცირებულად არის წარმოდგენილი, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ორგანიზაციის კრედიტორული ვალდებულებების ნაშთი 73 926 ლარით.

არაფინანსური აქტივების ზრდა

გარემოება

ორგანიზაციის არაფინანსური აქტივების ზრდის საბალანსო ანგარიშის³ მიხედვით, მუნიციპალიტეტს შესყიდული აქვს მატერიალური მარაგები, კერძოდ, სტრატეგიული მარაგები საკასო შესრულებით 175 852 ლარი. ფაქტობრივად აღნიშნული შესყიდვები წარმოადგენს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის⁴ შესყიდვას. შესაბამისად, აღნიშნული შესყიდვები ვერ იქნება განხილული როგორც სტრატეგიული მარაგი, ვინაიდან მოქმედი

² ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური ქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ, ბალანსის დანართი ფორმა N2-2.

³ ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ ფორმა N2-1

⁴ სხვადასხვა შენობა-ნაგებობების, არასაცხოვრებელი შენობების, გზების და ა.შ.



მარეგულირებელი ნორმების მიხედვით⁵ სტრატეგიულ მარაგებს მიეკუთვნება: საქონელი, რომელიც ინახება სტრატეგიული მიზნებისათვის და საგანგებო შემთხვევებისათვის; საქონელი, რომელიც ინახება ბაზრის მარეგულირებელი ორგანოების მიერ და საქონელი, რომელსაც აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა ქვეყნისათვის (მაგალითად, ხორბალი და ნავთობი). შესაბამისად, საპროექტო სახარჯთაღრიცხვო სახის შესყიდვები უნდა განხორციელდეს საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული არაფინანსური აქტივების იმ მუხლის მიხედვით, რომლის დასრულების შემდგომ მოხდება აქტივის მიღება, ღირებულების ზრდა⁶, საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულების გათვალისწინებით. შესყიდული პროექტებიდან 2015 წელს გამოყენებული იქნა 20 434 ლარის საპროექტო დოკუმენტაცია და გაზრდილი იქნა შესაბამისი აქტივების ღირებულებები, ხოლო დარჩენილი 129 484 ლარის პროექტები განისაზღვრა მომდევნო წლებში გამოსაყენებლად.

გავლენა

ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში, არაზუსტრად არის განსაზღვრული მუხლებს შორის კლასიფიკაცია სტრატეგიულ მარაგებთან მიმართებით.

ამორტიზაცია

გარემოება

წარმოდგენილი საბალანსო მონაცემებით, არაფინანსური აქტივების საწყისი საბალანსო ნაშთი, გარდა არაწარმოებული აქტივებისა, შეადგენს 31 736 755 ლარს, ნაშთი წლის ბოლოს 35 653 436 ლარს, 2015 წლის დარიცხულმა წლიურმა ცვეთამ 701 575 ლარი შეადგინა, რომელიც მოქმედი მარეგულირებელი ნორმების დაცვით არ არის განხორციელებული. კერძოდ, ცვეთის დარიცხვა აქტივებზე, ნაცვლად საწყისი საბალანსო ღირებულებისა, ხორციელდება წარჩენ საბალანსო ღირებულებაზე⁷, შესაბამისად, აქტივების წარჩენი საბალანსო ღირებულება განისაზღვრება არაზუსტად. ანალოგიური სააღრიცხვო პოლიტიკაა გამოყენებული მუნიციპალიტეტს დაქვემდებარებულ ა(ა)იპ „ხელვაჩაურის სასპორტო სკოლაში“.

⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების შესახებ“ N672 ბრძანების თავი მე-5, არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციის მეთოდური განმარტებების ქვეთავი, II. მატერიალური მარაგები (312) - განმარტება, სტრატეგიული მარაგები (3121) - განმარტება.

⁶ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ N 1321 ბრძანების 24-ე მუხლი.

⁷ დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის ბრძანება N439 -ის „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-3 მუხლის 1 პუნქტი.



გავლენა

ორგანიზაციების არაზუსტი სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით, გაზრდილია აქტივების ნარჩენი ღირებულებების ნაშთები.

ა(ა)იპ „ხელვაჩაურის სასპორტო სკოლა“

ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების აღრიცხვა

გარემოება

სასპორტო სკოლის 2015 წლის საკუთარმა შემოსავლებმა, საკასო და ფაქტობრივი შესრულებით შეადგინა 5 506 ლარი, რომელიც ძირითადად მოიცავს საიჯარო შემოსავლებს, თუმცა საკუთარი შემოსავლების მიღება არ არის დაფიქსირებული, საბალანსო მონაცემების დანართი N4-ში, ანგარიში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ.

გავლენა

ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში, შემცირებულად არის წარმოდგენილი საკასო და ფაქტობრივი შემოსავლები 5 506 ლარის ოდენობით.

ა(ა)იპ „ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახური“

წმინდა ღირებულება

გარემოება

ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი საბალანსო მონაცემებით, 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საწყისი საბალანსო ღირებულება არ ფიქსირდება, თუმცა ბალანსის ფორმა N1-ის მიხედვით, წლის დასაწყისში აღრიცხულია არაფინანსური აქტივების ნაშთი 162 929 ლარის ოდენობით, ვალდებულებები არ ფიქსირდება, ვინაიდან მოქმედი მარეგულირებელი ნორმების მიხედვით⁸, წმინდა ღირებულება არის ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ აქტივების ნარჩენი ღირებულება, შესაბამისად, ორგანიზაციის წმინდა ღირებულება 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 162 929 ლარს.

გავლენა

ორგანიზაციის წმინდა ღირებულების ნაშთი 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 162 929 ლარის ოდენობით, შემცირებულად არის წარმოდგენილი.

⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ N 1321 ბრძანების მეათე თავის, 42-ე მუხლის მე-3 პუნქტი.



პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის ან შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ფინანსურ მდგომარეობას 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ სააღრიცხვო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით.

მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა

სამივლინებო ანაზღაურება ქვეყნის გარეთ.

მუნიციპალიტეტის გამგებელის ბრძანებით⁹, აუდიტის პერიოდში 2 თანამშრომელი, მივლინებული იქნა თურქეთის რესპუბლიკაში, ქალაქ მერსინში, 11 ნოემბრიდან 15 ნოემბრის ჩათვლით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, მასპინძელი მხარე უზრუნველყოფს კვებისა და საცხოვრებელ ხარჯებს, მხოლოდ ტრანსპორტირების ხარჯებს ფარავს მონაწილე. მუნიციპალიტეტმა თითოეულ თანამშრომელს, მოქმედი მარეგულირებელი ნორმების დაუკველად¹⁰, აუნაზღაურა სულ 1 848 ლარი¹¹, ორივე თანამშრომლის შემთხვევაში სულ 3 696 ლარი. მოქმედი მარეგულირებელი ნორმების მიხედვით, სამივლინებო ანაზღაურება აღნიშნულ შემთხვევაში შეადგენს 5 დღის დღიური ნორმის 30%-ს და მგზავრობის ხარჯს ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით, დღიური ნორმა თურქეთის რესპუბლიკაში შეადგენს 33 ევროს, ხოლო კვების ხარჯების დაფინანსების შემთხვევაში 5 დღის დღიური ნორმის 30%-ს, 49.5 ევროს¹², წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მგზავრობის ხარჯი შეადგენს 155 ლარს თითოეულ თანამშრომელზე, სულ ერთ თანამშრომელზე დასარიცხი სამივლინებო თანხა შეადგენს 282.2 ლარს¹³, სულ ორივე თანამშრომელზე 564.4 ლარი. შესაბამისად, ზედმეტად ანაზღაურებული თანხა ერთ თანამშრომელზე შეადგენს 1 565.8 ლარს, ორივე თანამშრომელზე 3 131.6 ლარს,

⁹ ბრძანება N771 06.11.2015წ.

¹⁰ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N231 20.04.2015წ. „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“.

¹¹ დღიური ნორმა 1 550.4 ლარი და მგზავრობის ხარჯი 297.6 ლარი.

¹² $165 \times 30\% = 49.5$ ევრო.

¹³ ეროვნული ბანკის მონაცემებით სავალუტო კურსი 11.11.2015 შეადგენდა 1 ევრო = 2,57 ლარს, შესაბამისად $49.5 \times 2.57 = 127.2$ ლარი. ასევე აღნიშნულს ემატება ფაქტობრივად წარმოდგენილი მგზავრობის დანახარჯები 155 ლარი.



აუდიტის მიმდინარეობისას ერთ შემთხვევაში, გამგეობის თანამშრომლის მიერ დაბრუნებული იქნა ზედმეტად ანაზღაურებული სამივლინებო თანხა.

სახელმწიფო შესყიდვები

მუნიციპალიტეტმა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით¹⁴ შპს „ბასმოტორს-ისგან“ შეისყიდა ექსკავატორ-დამტვირთველი, MST544 მოდელი, 2015 წლის გამოშვება, ახალი, ღირებულებით 170 000 ლარი და ასევე „გრეიდერის“ დანა, ღირებულება 9 000 ლარი.

გარე დადასტურებით, კომპანიის მიერ წარმოდგენილი იქნა დოკუმენტაცია, ავტოსატრანსპორტო საშუალების მიწოდების დანახარჯებთან დაკავშირებით. როგორც ირკვევა, კომპანიის ერთი ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების MST M544 თვითღირებულება შეადგენს 138 218 ლარს, ასევე ეგრეთწოდებული „გრეიდერის“ შესყიდვის ღირებულებასთან მიმართებით, მიმწოდებელს, 2015 წლის მაისის თვეში (შესყიდვამდე) ჰქონდა გამოქვეყნებული ინფორმაცია მსგავსი სპეციალური ტექნიკის შესახებ, ოფიციალურ Facebook¹⁵ გვერდზე, ექსკავატორ-დამტვირთველი MST544 მოდელი შეთავაზებულია მომხმარებლებისათვის 55 000 ევროდ, იმდროინდელი კურსით¹⁶ 139 700 ლარად, განსხვავებით ხელშეკრულებით მიწოდებული ტექნიკისაგან, კოეფიციენტი მოცულობა 0.3 კუბ.მ. ნაკლებია და გამოშვების წელია 2014, შესაბამისად, საორიენტაციო საბაზრო ღირებულების იდენტიფიცირება აღნიშნული პერიოდისათვის შესაძლებელი გახლდათ.

ასევე, სახელშეკრულებო პირობების¹⁷ მიხედვით, დამტვირთავი ციხვის მოცულობა უნდა შეადგენდეს 1.3 კუბურ მეტრს, თუმცა მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ტექნიკის პასპორტით (მწარმოებლის მიერ გამოცემული კატალოგი), სპეციალიზირებული ტექნიკის MST 544-ის დამტვირთავი ციხვის მოცულობა შეადგენს 1.2 კუბურ მეტრს, შესაბამისად 0.1 კუბური მეტრით ნაკლებს, რაზეც მიმწოდებელი გამოხატავს მოსაზრებას, რომ მწარმოებლის კატალოგი, სადაც აღწერილია ტექნიკური მახასიათებლები, შეიცავს მცირედ ცდომილებას ციხვის მოცულობასთან მიმართებით, რომ ფაქტიური გარემოება არ შეიძლება გადახრილი იყოს მითითებულ მონაცემებთან.

მუნიციპალიტეტმა, აუდიტის პერიოდში, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით, ხელშეკრულება¹⁸ გაუფორმა შპს „ფელიქს“ მწვანე კონცხის დაწყებითი სკოლის რეკონსტრუქციისათვის, ღირებულებით 101 288 ლარი. სამუშაოები დასრულებული იქნა 2015

¹⁴ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N148 06.07.2014წ. (ხელშეკრულების გაფორმების თარიღად ნაცვლად 2015 წლისა დაფიქსირებულია 2014 წელი).

¹⁵ https://www.facebook.com/Basmotors-1392513594394786/?hc_ref=SEARCH

¹⁶ 1 ევრო = 2.54 ლარს. NBG.GE საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები.

¹⁷ ხელშეკრულების დანართი N2

¹⁸ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N169 03.08.2016წ.



წლის დეკემბრის თვეში¹⁹ და დადასტურდა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო-ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ. თანახმად სახელშეკრულებო პირობისა²⁰, მიმწოდებლის მიერ შესრულებულ სამუშაოებზე ვრცელდება საგარანტიო ვადა, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არანაკლებ 24 თვე. საჯარო სკოლის ღირებულების ცნობის მიხედვით, ობიექტის ჩაბარების შემდგომ გამოვლინდა რიგი ხარვეზები, დაზიანდა იატაკი, საკლასო ოთახში ჩამოდის წყალი, ფანჯრების საცრემლურები დაზარალებულია და ა.შ. თუმცა მისთვის არ იყო ცნობილი შენობის საგარანტიო პირობებისა და ვადების შესახებ, აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს სარეკონსტრუქციო/სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ, ობიექტის ჩაბარების ადრესატების დროული ინფორმირება საგარანტიო ვადებისა და პირობების შესახებ, რათა საგარანტიო პირობებში განხორციელდეს მოთხოვნილი მიმწოდებელზე ხარვეზების დროული აღმოფხვრის მიზნით.

მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში, სატენდერო კომისიის მიერ, სატენდერო დოკუმენტაციის 4.2 პუნქტით განსაზღვრულია შემდეგი პირობა „შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის დანართის შესაბამისად, მიმწოდებლის მიერ ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენლობა ან/და ხარჯთაღრიცხვაში არსებითი შეუსაბამობა გამოიწვევს მის დისკვალიფიკაციას“. შესაბამისად, პრეტენდენტის მიერ ხარჯთაღრიცხვაში დაშვებული უზუსტობის შემთხვევაში, როგორც არის მაგალითად კონკრეტული სამუშაოების განფასების ან ლოკალური ხარჯთაღრიცხვის გამოტოვება, შემსყიდველი ახდენს მის დისკვალიფიკაციას დაზუსტების²¹ მოთხოვნის გარეშე. შესაბამისად, დისკვალიფიკაციის შემდეგ შემსყიდველი განიხილავს მომდევნო პრეტენდენტების სატენდერო დოკუმენტაციას, რომელთაც არ გააჩნიათ ხარჯთაღრიცხვაში უზუსტობები, სატენდერო დოკუმენტაციის სხვა ნაწილში დაზუსტების საჭიროების შემთხვევაში, ითხოვს დოკუმენტაციის დაზუსტებას, რის შემდგომაც პრეტენდენტი ცხადდება გამარჯვებულად. რიგ შემთხვევებში პრეტენდენტებმა, გაასაჩივრეს²² აღნიშნული ფაქტი, პირველადვე მათი დისკვალიფიკაციის შესახებ, თუმცა საბჭოს გადაწყვეტილებით, ვინაიდან შემსყიდველს თავდაპირველადვე განსაზღვრული აქვს 4.2 პუნქტის მოთხოვნები ხარჯთაღრიცხვასთან დაკავშირებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით, დავების საბჭო არ აკმაყოფილებს პრეტენდენტის საჩივარს.

¹⁹ მიღება-ჩაბარების აქტი 28.12.2015წ.

²⁰ ხელშეკრულება 03.08.2016წ. N169 6.2 ქვეპუნქტი.

²¹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანება N9 „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების“ წესის მე-12 მუხლის მე-6, მე-7 პუნქტი და მე-8 პუნქტი.

²² SPA140023640 საჩივრის ნომერი DIS140023640_01.



აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
ფინანსური აუდიტის ანგარიში

N	შესყიდვის ნომერი	დისკალიფიცირებული პრეტენდენტი	პრეტენდენტის შეთავაზებული ფასი	გამარჯებული პრეტენდენტი	სახელმწიკრულებო ღირებულება	სხვაობა (5-3)	
	1	2	3	4	5	6	
1	SPA140023640	პრეტენდენტი N1	279 908	პრეტენდენტი N5	327 669	47 761	
		პრეტენდენტი N2	281 999			45 670	
		პრეტენდენტი N3	284 907			პრეტენდენტი N5	327 669
		დისკალიფიკაცია სხვა გარემოებით					
	პრეტენდენტი N4	289 908					
2	SPA150001091	პრეტენდენტი N1	543 112	პრეტენდენტი N4	576 999	33 887	
		პრეტენდენტი N2	575 285				
		დისკალიფიკაცია სხვა გარემოებით	576 000				
პრეტენდენტი N3							
		დისკალიფიკაცია სხვა გარემოებით					

ცხრილი N2, პრეტენდენტების შეთავაზებული ფასები.

მაგალითისათვის ცხრილში წარმოდგენილია რამოდენიმე პრეტენდენტი, რომელთა დისკალიფიცირება განხორციელდა დაზუსტების გარეშე და შემდგომში გაიმარჯვა სხვა ფასის მქონე პრეტენდენტმა.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

გურამ ღუმბაძე

/უფროსი აუდიტორი, ჯგუფის ხელმძღვანელი/

მინდია ჯორთმენაძე

/აუდიტორი/

მარინე პრიხოტკო

/აუდიტორ-ასისტენტი/

14 დეკემბერი 2016 წელი



ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები

კოდი	აქტივები	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის დასაწყისისთვის	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
1	2	3	4	5
I.ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
010	ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	1110		
020	ნაღდი ფული სალაროში უცხოურ ვალუტაში	1120		
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1210	5273628	1907477
040	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1220		
050	სადეპოზიტო ანგარიში ბანკში	1230		
060	სხვა ანგარიშები ბანკში	1240		
070	ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის	1250		
080	დებოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	1260		
090	დებოზიტები ხაზინაში უცხოურ ვალუტაში	1270		
100	ხაზინის სავალუტო ანგარიში	1280		
110	სხვა ანგარიშები ხაზინაში	1290		
120	ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	1310		
130	მოკლევადიანი სესხები	1320		
140	აქციები და სხვა კაპიტალი	1330		
150	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340		
160	საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1351		
170	არასაბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	1352		
180	დებოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები	1353		
190	მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	1354		
200	მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით	1355		
210	გადახდილი დღგ	1356		
220	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357		
230	სხვა საგადასახადო აქტივი	1358		
240	მოთხოვნები ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების დანაკლისებით	1359		
250	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1360		
260	მოთხოვნები ბარტერით	1410		
270	მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420		
280	მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1431		
290	მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1432		



აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
ფინანსური აუდიტის ანგარიში

300	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440		
310	ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები	1450		
320	მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	1460		
330	მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1470		
340	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480		
350	გრძელვადიანი სესხები	1510		
360	აქციები და სხვა კაპიტალი	1520		
370	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1530		
380	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1540		
II. არაფინანსური აქტივები				
390	სტრატეგიული მარაგები	1610	0	175852
400	სხვა მატერიალური მარაგები	1620	4880377	4880377
410	შენობა-ნაგებობები	2110	25849812	31474140
420	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2120	819566	863043
430	სხვა ძირითადი აქტივები	2130	187000	179756
440	დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	2140		
450	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200		
460	ფასეულობები	2300		
470	არანარმოებული აქტივები	2400	1919732	1919732
	ბალანსი		38930115	41400377
კოდი	ვალდებულებები და კაპიტალი	ანგარიშის ნომერი	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს
1	2	3	5	5
I. ვალდებულებები				
480	მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100		
490	მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3210		
500	აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3220		
510	ვალდებულებები ბარტერიით	3230		
520	გადასახდელი მოგების გადასახადი	3241		
530	გადასახდელი დღგ	3242		
540	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	3243		
550	სხვა გადასახდელები	3244		
560	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით	3245		
570	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები	3246		
580	შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3251		
590	შტატგარეშე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	3252		
600	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	3253		



აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
ფინანსური აუდიტის ანგარიში

610	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	3254		
620	დამქირავებლის მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3255		
630	დამქირავებლის მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3256		
640	ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხებით	3257		
650	გადასახდელი სტიპენდიები	3258		
660	სოციალური დაზღვევის ანარიცხები	3259		
670	ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	3260		
680	სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3270		
690	სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3280	42052	14461
700	გრძელვადიანი ვალდებულებები სესხებით	3310		
710	სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	3320		
720	მომსახურების მონოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3331	0	
730	აქტივების მონოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3332		
740	სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3333	0	
II. კაპიტალი				
750	წმინდა ღირებულება	5100	38888063	41385917
760	საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	5210		
770	გაუნაწილებელი მოგება	5220		
780	დაუფარავი ზარალი*	5230		
	ბალანსი		38930115	41400378
III. საცნობარო მუხლები				
790	საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები და მათთან დაკავშირებული დანახარჯები	01		
800	პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები	02		
810	გადახდისუენარო დებიტორების ჩამონერილი დავალიანება	03		
820	ხარჯებში ჩამონერილი მარაგები ექსპლუატაციაში	04		
830	პირობითი მოთხოვნები	05		
840	პირობითი ვალდებულებები	06		
850	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	07		
860	ამორტიზებული ძირითადი აქტივები	08		
870	ვადგადაცხილებული დავალიანებები	09		
880	ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამონერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	10		
890	განსაკარგავად გადასაცემი მოძრავი ქონება	11		



ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

ბალანსის დანართი ფორმა #2

კოდი	ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	ბიუჯეტით დამტკიცებული წლიური გეგმით	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (9- 8)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
010	1. ხარჯები	2	10 478 557.00	10 525 957.00	9 792 067.00	9 792 067.00	9 792 067.00	10 493 642.00	701 575.00
020	1.1 შრომის ანაზღაურება	21	2 310 770.00	2 310 770.00	2 283 262.00	2 283 262.00	2 283 262.00	2 283 262.00	-
030	1.1.1 ხელფასები	211	2 310 770.00	2 310 770.00	2 283 262.00	2 283 262.00	2 283 262.00	2 283 262.00	-
040	1.1.1.1 ხელფასები ფულადი ფორმით	2111	2 310 770.00	2 310 770.00	2 283 262.00	2 283 262.00	2 283 262.00	2 283 262.00	-
050	1.1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო	21111	1531979	1531979	1504471	1504471	1504471	1504471	-
060	1.1.1.1.2 წოდებრივი სარგო	21112							-
070	1.1.1.1.3 პრემია	21113	778791	778791	778791	778791	778791	778791	-
080	1.1.1.1.4 დანამატი	21114							-
090	1.1.1.1.5 ჰონორარი	21115							-
100	1.1.1.1.6 კომპენსაცია	21116							-
110	1.1.1.2 ხელფასები სასაქონლო ფორმით	2112							-
120	1.1.2 სოციალური შენატანები	212	-	-	-	-	-	-	-
130	1.1.2.1. ფაქტიურად განხორციელებული სოციალური შენატანები	2121							-
140	1.1.2.2. პირობითად განხორციელებული სოციალური შენატანები	2122							-
150	1.2 საქონელი და მომსახურება	22	1 000 808.00	1 000 808.00	871 733.00	871 733.00	871 733.00	871 733.00	-
160	1.2.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	2201	84 000.00	84 000.00	40 350.00	40 350.00	40 350.00	40 350.00	-
170	1.2.2 მივლინებები	222	20 800.00	20 800.00	15 092.00	15 092.00	15 092.00	15 092.00	-
180	1.2.3 ოფისის ხარჯები	223	319 442.00	319 442.00	285 638.00	285 638.00	285 638.00	285 638.00	-
190	1.2.4 წარმომადგენლობითი ხარჯები	224	6 000.00	6 000.00	4 286.00	4 286.00	4 286.00	4 286.00	-
200	1.2.5 კვების ხარჯები	225							-



აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
ფინანსური აუდიტის ანგარიში

210	1.2.6 სამედიცინო ხარჯები	226	28 968.00	28 968.00	25 708.00	25 708.00	25 708.00	25 708.00	-
220	1.2.7 რბილი ინვენტარის, უნიფორმის და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები	227							-
230	1.2.8 ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	228	160 200.00	160 200.00	143 242.00	143 242.00	143 242.00	143 242.00	-
240	1.2.9 სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები	229							-
250	1.2.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	2210	381 398.00	381 398.00	357 417.00	357 417.00	357 417.00	357 417.00	-
260	1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	23						701 575.00	701 575.00
270	1.4 პროცენტი	24	-	-	-	-	-	-	-
280	1.4.1 საგარეო ვალდებულებებზე	241	-	-	-	-	-	-	-
290	1.4.1.1 ორმხრივ კრედიტორებზე	2411							-
300	1.4.1.2 მრავალმხრივ კრედიტორებზე	2412							-
310	1.4.1.3 კომერციულ ორგანიზაციებზე	2413							-
320	1.4.1.4 სხვა საგარეო ვალდებულებებზე	2414							-
330	1.4.2 საშინაო ვალდებულებებზე, გარდა სახელმწიფო ერთეულებისა	242							-
340	1.4.3 სახელმწიფო ერთეულებიდან აღებულ საშინაო ვალდებულებებზე	243							-
350	1.5 სუბსიდიები	25	3 117 667.00	3 117 667.00	3 004 706.00	3 004 706.00	3 004 706.00	3 004 706.00	-
360	1.6 გრანტები	26	281 245.00	281 245.00	280 995.00	280 995.00	280 995.00	280 995.00	-
370	1.6.1 გრანტები უცხო სახელმწიფოთა მთავრობებს	261	-	-	-	-	-	-	-
380	1.6.1.1 მიმდინარე	2611							-
390	1.6.1.2 კაპიტალური	2612							-
400	1.6.2 გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს	262	-	-	-	-	-	-	-
410	1.6.2.1 მიმდინარე	2621							-
420	1.6.2.2 კაპიტალური	2622							-
430	1.6.3 გრანტები სხვა დონის სახელმწიფო	263	281 245.00	281 245.00	280 995.00	280 995.00	280 995.00	280 995.00	-



აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში
ფინანსური აუდიტის ანგარიში

	ერთეულებს								
440	1.6.3.1 მიმდინარე	2631	281 245.00	281 245.00	280 995.00	280 995.00	280 995.00	280 995.00	-
450	1.6.3.2 კაპიტალური	2632							-
460	1.7 სოციალური უზრუნველყოფა	27	239 210.00	453 609.00	438 586.00	438 586.00	438 586.00	438 586.00	-
470	1.7.1 სოციალური დაზღვევა	271	-	-	-	-	-	-	-
480	1.7.1.1 ფულადი ფორმით	2711							-
490	1.7.1.2. სასაქონლო ფორმით	2712							-
500	1.7.2 სოციალური დახმარება	272	239 210.00	453 609.00	438 586.00	438 586.00	438 586.00	438 586.00	-
510	1.7.2.1 ფულადი ფორმით	2721	239 210.00	453 609.00	438 586.00	438 586.00	438 586.00	438 586.00	-
520	1.7.2.2. სასაქონლო ფორმით	2722							-
530	1.7.3 დამქირავებლის მიერ განეული სოციალური დახმარება	273	-	-	-	-	-	-	-
540	1.7.3.1 ფულადი ფორმით	2731							-
550	1.7.3.2. სასაქონლო ფორმით	2732							-
560	1.8 სხვა ხარჯები	28	3 528 857.00	3 361 858.00	2 912 785.00	2 912 785.00	2 912 785.00	2 912 785.00	-
570	1.8.1 ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა პროცენტისა	281	-	-	-	-	-	-	-
580	1.8.1.1 დივიდენდები	2811							-
590	1.8.1.2 კვაში-კორპორაციების შემოსავლებიდან ამოღებული თანხები	2812							-
600	1.8.1.3 ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, რომლებიც სადაზღვევო პოლისის მფლობელებზე ვრცელდება	2813							-
610	1.8.1.4 რენტა	2814							-
620	1.8.2 სხვადასხვა ხარჯები	282	3 528 857.00	3 361 858.00	2 912 785.00	2 912 785.00	2 912 785.00	2 912 785.00	-
630	1.8.2.1 მიმდინარე	2821							-
640	1.8.2.2 კაპიტალური	2822	3 528 857.00	3 361 858.00	2 912 785.00	2 912 785.00	2 912 785.00	2 912 785.00	-
მონაცემები შტატით და შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობის შესახებ									
მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ე ლ თ ა დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა			ბიუჯეტით			ბიუჯეტგარეშე			



	გვერდით	ფაქტიურად	გვერდით	ფაქტიურად
შტატით მომუშავეთა რიცხოვნობა	148	148	0	0
შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა	15	11	0	0

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

ბალანსის დანართი ფორმა №2-1

კოდი	არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	არაფინანსური აქტივების ოპერაციების კოდები	დამტკიცებული გვერდით	დაზუსტებული გვერდით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
1	2	3	4	5	6	7	8
010	1. არაფინანსური აქტივები	31	9 337 189.00	9 337 189.00	8 374 155.00	8 374 155.00	8 374 155.00
020	1.1 ძირითადი აქტივები	311	9 152 689.00	9 152 689.00	8 198 303.00	8 198 303.00	8 198 303.00
030	1.1.1 შენობა-ნაგებობები	3111	8 684 269.00	8 665 334.00	7 819 091.00	7 819 091.00	7 819 091.00
040	1.1.1.1 საცხოვრებელი შენობები	31111					
050	1.1.1.2 არასაცხოვრებელი შენობები	31112	4 171 047.00	4 171 047.00	3 413 256.00	3 413 256.00	3 413 256.00
060	1.1.1.3 საგზაო მაგისტრალები	31113					
070	1.1.1.4 ქუჩები	31114					
080	1.1.1.5 გზები	31115	1 242 984.00	1 224 049.00	1 242 972.00	1 242 972.00	1 242 972.00
090	1.1.1.6 ხიდები	31116					
100	1.1.1.7 გვირაბები	31117					
110	1.1.1.8 საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები	31118	2 546 018.00	2 546 018.00	2 473 750.00	2 473 750.00	2 473 750.00
120	1.1.1.9 ელექტროგადამცემი ხაზები	31119	382 606.00	382 606.00	348 037.00	348 037.00	348 037.00



130	1.1.1.10 მილსადენები	311110	23 136.00	23 136.00	23 136.00	23 136.00	23 136.00
140	1.1.1.11 სხვა შენობა-ნაგებობები	311111	318 478.00	318 478.00	317 940.00	317 940.00	317 940.00
150	1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	3112	468 420.00	487 355.00	379 212.00	379 212.00	379 212.00
160	1.1.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	31121	314 100.00	333 035.00	238 450.00	238 450.00	238 450.00
170	1.1.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	31122	154 320.00	154 320.00	140 762.00	140 762.00	140 762.00
180	1.1.3 სხვა ძირითადი აქტივები	3113			-	-	-
190	1.1.3.1 კულტივირებული აქტივები	31131					
200	1.1.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	31132					
210	1.1.3.2.1 ლიცენზიები	311321					
220	1.1.3.2.2 სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები	311322					
230	1.2 მატერიალური მარაგები	312	184 500.00	184 500.00	175 852.00	175 852.00	175 852.00
240	1.2.1 სტრატეგიული მარაგები	3121	184 500.00	184 500.00	175 852.00	175 852.00	175 852.00
250	1.2.2 სხვა მატერიალური მარაგები	3122	-	-	-	-	-
260	1.2.2.1 ნედლეული და მასალები	31221					
270	1.2.2.2 დაუმთავრებელი წარმოება	31222					
280	1.2.2.3 მზა პროდუქცია	31223					
290	1.2.2.4 შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილი საქონელი	31224					
300	1.3 ფასეულობები	313					
310	1.4 არანარმოებული აქტივები	314			-	-	-
320	1.4.1 მიწა	3141					
330	1.4.2 წიაღისეული	3142					
340	1.4.3 სხვა ბუნებრივი აქტივები	3143			-	-	-
350	1.4.3.1 რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია	31431					



360	1.4.3.2 სხვა დანარჩენი ბუნებრივი აქტივები	31432					
370	1.4.4 არანარმოებული არამატერიალური აქტივები	3144					

ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ

ბალანსის დანართი ფორმა №2-2

სტრიქონის კოდი	ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი	ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციების კოდები	დამტკიცებული გვეგმით	დამუსტებული გვეგმით	ვალდებულებ ა	მოთხოვნა	გადახდ ა (საკასო ხარჯი)
1	2	3	4	5	6	7	8
010	1. ფინანსური აქტივები	32	0	0	0	0	0
020	1.1 საშინაო	321	0	0	0	0	0
030	1.1.1 ვალუტა და დეპოზიტები	3212					
040	1.1.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	3213					
050	1.1.3 სესხები	3214					
060	1.1.4 აქციები და სხვა კაპიტალი	3215					
070	1.1.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	3216					
080	1.1.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3217					



090	1.1.7 სხვა დებიტორული დავალიანებები	3218					
100	1.2 საგარეო	322	0	0	0	0	0
110	1.2.1 ვალუტა და დეპოზიტები	3222					
120	1.2.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	3223					
130	1.2.3 სესხები	3224					
140	1.2.4 აქციები და სხვა კაპიტალი	3225					
150	1.2.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	3226					
160	1.2.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3227					
170	1.2.7 სხვა დებიტორული დავალიანებები	3228					
180	1.3 მონეტარული ოქრო და ნასესხობის სპეციალური უფლება	323					
190	2. ვალდებულებები	33	42052	42052	27591	27591	27591
200	2.1 საშინაო	331	42052	42052	27591	27591	27591
210	2.1.1 ვალუტა და დეპოზიტები	3312	42052	42052	27591	27591	27591
220	2.1.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	3313					
230	2.1.3 სესხები	3314					
240	2.1.4 აქციები და სხვა კაპიტალი (მხ. სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები)	3315					
250	2.1.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	3316					
260	2.1.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3317					



270	2.1.7 სხვა კრედიტორული დავალიანებები	3318					
280	2.2 საგარეო	332	0	0	0	0	0
290	2.2.1 ვალუტა და დეპოზიტები	3322					
300	2.2.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	3323					
310	2.2.3 სესხები	3324					
320	2.2.4 აქციები და სხვა კაპიტალი (მხ. სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები)	3325					

ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

ბალანსის დანართი ფორმა №3

ანგარიშის №	ღებეტი	თანხა	ანგარიშის №	კრედიტი	თანხა
	ნაშთი წლის დასაწყისისათვის			ნაშთი წლის დასაწყისისათვის	38888063
7100	მომუშავეთა ანაზღაურება	2283262	4100	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	2379480
7200	საქონელი და მომსახურება	871733	4200	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება პენსიებისა და დახმარებების გასაცემად	
7300	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	701575	6000	შემოსავლები	12448183
7310	მ.შ. ფიზიკური ცვეთა	701575	6300	მ.შ. გრანტები	12448183
7400	პროცენტი				
7500	სუბსიდიები	3004706			
7600	გრანტები	280995			
7700	სოციალური უზრუნველყოფა	438586			
7800	სხვა ხარჯები	2912785			



	აქტივების უსასყიდლოდ გასვლა, ვალდებულებების უსასყიდლოდ მიღება	1866603		აქტივების უსასყიდლოდ მიღება, ვალდებულებების უსასყიდლოდ გასვლა	30436
1300-1400	ფინანსური აქტივები		1300-1400	ფინანსური აქტივები	
3000	ფინანსური ვალდებულებები		3000	ფინანსური ვალდებულებები	
1600 -2000	არაფინანსური აქტივები	1866603	1600 -2000	არაფინანსური აქტივები	30436
8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები		8000	სხვა ეკონომიკური ნაკადები	
3245	ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით *				
3246	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები *				
	სადებეტო ბრუნვა	12360245		საკრედიტო ბრუნვა	14858099
	სულ ჯამი:**	12360245		სულ ჯამი:***	53746162
	ნაშთი პერიოდის ბოლოს			ნაშთი პერიოდის ბოლოს	41385917



ანგარიში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ
დანართი ფორმა №4

ბალანსის

სტრუქონის კოდი	დასახელება	გვეგით	საკასო	ფაქტიური	
1	2	3	4	5	
010	ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისისთვის		5272961		
020	გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალის ნაშთი წლის დასაწყისისთვის				
030	შემოსულობები				
040	საოპერაციო შემოსავლები	14825354	14791952	14791952	
050	საანგარიშო პერიოდის შემოსავლები კლასიფიკაციის მიხედვით				
060	გადასახადები	687200	641257	641257	
070	გრანტები	12556194	12448183	12448183	
080	სხვა შემოსავლები	1581960	1702512	1702512	
090	ა) შემოსავლები საკუთრებიდან	586000	563287	563287	
100	ბ) საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	528151	594533	594533	
110	გ) სანქციები, ჯარიმები, საურავები	407844	476287	476287	
120	დ) ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა				
130	ე) შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	59965	68405	68405	
140	შემოსულობები	32455	35711	35711	
150	არაფინანსური აქტივების კლება	32455	35711	35711	
160	ფინანსური აქტივების კლება				
170	ვალდებულებების ზრდა				
180	სულ საოპერაციო შემოსავლები და შემოსულობები	14857809	14827663	14827663	
190	გადასახდელები				
200	საოპერაციო ხარჯები				
210	1. ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	კოდი	10692956	9792067	9792067
220	1.1. შრომის ანაზღაურება	21	2 310 770.00	2 283 262.00	2 283 262.00
230	1.2 საქონელი და მომსახურება	22	1 000 808.00	871 733.00	871 733.00
240	1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	23			
250	1.4 პროცენტი	24			
260	1.5 სუბსიდიები	25	3 117 667.00	3 004 706.00	3 004 706.00
270	1.6 გრანტები	26	281 245.00	280 995.00	280 995.00
280	1.7 სოციალური უზრუნველყოფა	27	453 609.00	438 586.00	438 586.00
290	1.8 სხვა ხარჯები	28	3 528 857.00	2 912 785.00	2 912 785.00
300	გადასახდელები		9379241	8401746	8401746
310	2. არაფინანსური აქტივების ზრდა	31	9337189	8374155	8374155
320	2.1 ძირითადი აქტივები	311	9152689	8198303	8198303



330	2.2 მატერიალური მარაგები	312	184500	175852	175852
340	2.3 ფასეულობები	313			
350	2.4 არანარმოებული აქტივები	314			
360	3. ფინანსური აქტივების ზრდა	32	0	0	
370	3.1 საშინაო	321			
380	3.2 საგარეო	322			
390	4. ვალდებულებების კლება	33	42052	27591	27591
400	4.1 საშინაო	331	42052	27591	27591
410	4.2 საგარეო	332			
420	სულ საოპერაციო ხარჯები და გადასახდელები	332	20072197	18193813	18193813
430	არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები				
440	არასაოპერაციო შემოსავლები			0	0
450	კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავალი				
460	არაფინანსური აქტივების უსასყიდლოდ მიღება				
470	ფინანსური აქტივების უსასყიდლოდ მიღება				
480	ვალდებულებების გადაცემა				
490	არასაოპერაციო ხარჯები			0	0
500	კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი				
510	არაფინანსური აქტივების უსასყიდლოდ გასვლა				
520	ფინანსური აქტივების უსასყიდლოდ გასვლა				
530	ვალდებულებების მიღება				
540	მოგების გადასახადი				
550	ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს		58573	1906811	-3366150



ანგარიში ფულადი გრანტების შესახებ ბალანსის

დანართი ფორმა N 4-1

დასახელება		უცხოურ ვალუტაში	ეროვნულ ვალუტაში	სულ თანხა ლარებში		
				გეგმიური	საკასო	ფაქტური
1	გრანტის მთლიანი მოცულობა					
2	მ.შ მიღებული თანხა					
3	მ.შ სულ დამტკიცებული მოცულობა					
4	მ.შ უკანასკნელი ჩარიცხვა					
ნაშთი პერიოდის დასაწყისში				5273628	5272961	5272961
მიმდინარე წლის მოცულობა						
სულ (1+2)				5273628	5272961	5272961
ხარჯები						
შრომის ანაზღაურება				2310770	2283262	2283262
საქონელი და მომსახურება				1000808	871733	871733
პროცენტი				0		
სუბსიდიები				3117667	3004706	3004706
გრანტები				281245	280995	280995
სოციალური უზრუნველყოფა				239210	438586	438586
სხვა ხარჯები				3528857	2912785	2912785
არაფინანსური აქტივების ზრდა				9337189	8374155	8374155
ფინანსური აქტივების ზრდა						
ვალდებულებების კლება				42052	27591	27591
სულ მიმდინარე წლის დამტკიცებული მოცულობა						
ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები გრანტის თანხით						



ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

ბალანსის დანართი ფორმა №5

	არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	მიღება						გასვლა					ნაშთი წლის(პერიოდი სთვის) ბოლოს
			წინა წლების აგვანების	შესყიდვა მიმდინარე პერიოდის	ბარტერით შესყიდვით	ერთეულები ან დასაკლასი ფორმით	სხვა მიღებები	გაყიდვით	ბარტერით შესყიდვით	ერთეულები ან დასაკლასი ფორმით	სხვა გასვლები	ძირითადი კაპიტალის მოხმარება		
010	1. მატერიალური მარაგები	4880377	0	175852	0	0	0	0	0	0	0	0	0	5056229
020	1.1. სტრატეგიული მარაგები			175852										175852
030	1.2. სხვა მატერიალური მარაგები	4880377												4880377
040	1.2.1. ნედლეული და მასალები	0												0
050	1.2.2 დაუმთავრებელი წარმოება	0												0
060	1.2.3 მზა პროდუქცია	0												0
070	1.2.4 შემდგომი რეალიზაციისათვის შექმნილი საქონელი	0												0
080	1.2.5 ფულადი დოკუმენტები	0												0
090	1.2.6 სათადარიგო ნაწილები	0												0
100	1.2.7 სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგები	4880377												4880377
110	2. ძირითადი აქტივები	26856378	0	8198303	0	30436	0	0	0	0	1866603	0	701575	32516939
120	2.1 შენობა-ნაგებობები	25849812	0	7819091	0	0	0	0	0	0	1536368	0	658395	31474140



130	2.1.1 საცხოვრებელი შენობები	0												0
140	2.1.2 არასაცხოვრებელი შენობები	11694324		3413256									375458	14732122
150	2.1.3 საგზაო მაგისტრალეები	0												0
160	2.1.4 ქუჩები	0												0
170	2.1.5 გზები	261314		1242972									24859	1479427
180	2.1.6 ხიდები	0												0
190	2.1.7 გვირაბები	0												0
200	2.1.8 საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები	6277174		2473750							1536368		229240	6985316
210	2.1.9 ელექტროგადამცემი ხაზები	457367		348037									25023	780381
220	2.1.10 მილსადენები	4597156		23136										4620292
230	2.1.11 სხვა შენობა- ნაგებობები	2562477		317940									3815	2876602
240	2.2 მანქანა- დანადგარები და ინვენტარი	819566	0	379212	0	30436	0	0	0	0	322991	0	43180	863043
250	2.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	598702		238450		30436					322991		43180	501417
260	2.2.2 სხვა მანქანა- დანადგარები და ინვენტარი	220865		140 762.00										361627
270	2.3 სხვა ძირითადი	187000	0	0	0	0	0	0	0	0	7244	0	0	179756



	აქტივები													
280	2.3.1 კულტივირებული აქტივები	0												0
290	2.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	187000									7244			179756
300	2.4 დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	0												0
310	3. გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	0												0
360	5. არანარმოებული აქტივები	1919732	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1919732
370	5.1 მიწა	1919732												1919732
380	5.2 წიაღისეული	0												0
390	5.3 სხვა ბუნებრივი აქტივები	0												0
400	5.3.1 რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია	0												0
410	5.3.2 სხვა დანარჩენი ბუნებრივი აქტივები	0												0
420	5.4 არანარმოებული არამატერიალური აქტივები	0												0